ცნობის ფურცელი

№ 2376 კვირა, 11 იანვარი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2376

ხელისმოწერის ფასი: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

შეკერილ ტანისამოსის კავკასიის პირველ ამხანაგობის
ძმ. აკოფჯანოვებისა და სარქისიანისა
ნიკოლოოზის ხიდი, ს. ქამოევისა
ამა წლის 15 იანვრიდან დანიშნულია
მეტად იაფი ვაჭრობა.
ფასები საქარხნო ფასებზე ნაკლებია.

წარმ. 38.

ქართული თეატრი

კვირას, 11 იანვარს 1904 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

I

დამნაშავეა

დრამა 3 მოქმ. ნიკიტინისა

II

პარიკ-მახერისას

ვოდ. 1 მოქმ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, ნებიერიძე, ლ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად ნ. ჩხეიძის საბენეფისოდ „მუშაკი და ნებიერი“.

რეჟისორი აკაკი.

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

კვირას, 11 იანვარს, 1904 წ., გ. გაიმართება ორი წარმოდგენა დილით

სნეგუროჩკა

საღამოთი ბენეფისი ბიანკა-ჟელატოსი

კამორრა და ბალეტი

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ფერტიგ, კალინინა, კარტავინა, არციბაშევა, კარრი, სელიუკ, სკორუპსკაია; ბ-ნნი ფიგნერი, სელიავინ, ილიუშჩენკო, ევლახოვი, თულაევი, კლიუზნერ, სანგურსკი, გრინევი, ფედოროვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

[illegible] ი: 13 იანვ.—ბენ. კალინინისა „აიდა“. (ნ.)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ
0 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის
—10 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ.
—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მძ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბიოსამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ა. მ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტო-: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათს
საათამდე.

მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და
ვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავიაცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.
კურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.
სი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპე-
ები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან
თამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიი
იდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9,
ხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
(წლ.) ტელეფონი № 274

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
(კანისა და ვენერიული)
დილის 9—11 ს. საღამოს 7—9 საათამ-
დე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის
პროსპექტი № 123. (თვ.—10—1)

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 38).
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე.
საღამოობით 5—7-მდე ხოლო კვირა-უქმე-
ებით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი
ვ. დ. ლამბაშიძე
ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46.
წლ.

კბილის ექიმი
ნ. ტყეშელაშვილი
ოლგას ქუჩა, № 31. იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე: დილის 9—1 ს., ნაშუადღევს 2—4-მდე. კვირაობით 10—6-მდე.

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე
მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტაპარმაკლიძისა. (0—5.—29)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

შორეულ-აღმოსავლეთის საქმე

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება: 2 იანვარი. იაპონიის ელჩმა ვაშინგტონში გამოუცხადა ამერიკის მთავრობას, იაპონიის მთავრობამ თავის უკანასკნელ საპასუხო ნოტაში გადაჭრით მისწერა რუსეთს, თქვენს წინადადებას ვერ მივიღებთო.

ჩინური გაზეთები იუწყებიან, ვითომ ამ ბოლოს დროს ბევრი ჩინელი სახელმწიფო კაცი თხოულობდეს, პეტერბურგში საგანგებო ელჩი გავგზავნოთ და რუსეთს მანჯურიიდან ჯარის გაყვანა მოვთხოვოთო.

რუსული გაზეთები იუწყებიან: იაპონიის საელჩო პეტერბურგში ამ ბოლოს დროს დეპეშებზე თვეში 10 ათას მანეთამდე ჰხარჯავსო. უნდა დავუმატოთ, რომ საელჩო ყოველ სიტყვაში მხოლოდ დაწესებულ ფასის მესამედს იხდის.

ინგლისის პრესის აზრი შორეულ-აღმოსავლეთის საქმეზე

ინგლისური პრესა, ნამეტნავად კონსერვატიული, თავ-გამოდებით ესარჩლება იაპონიას. „ტაიმს“-ი სწერს: იაპონიის დიპლომატია ყველგან სჯობნის რუსეთის დიპლომატიას. ბოლოს დროს იაპონიამ უფრო მაგრად მოიკიდა ფეხი ჩინეთში. იაპონიის ელჩი პირველ როლს თამაშობს პეკინში და ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო იმის დაუკითხავად ფეხსაც არა სდგამს. იაპონიის ელჩი კიდევ ყველაფერში ტოკიოში გარეშე საქმეთა მინისტრს კომურას ეკითხება. კომურა ხომ მეტად ნიჭიერი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ჯანითა და ღონით სავსე კაცია. კარგი განათლება აქვს მიღებული, ინგლისური და ფრანგული ენა მშვენივრად აქვს შესწავლილი. კომურა მეტად კარგად უძღვება თავის მძიმე რთულ საქმეს. საზოგადოთ, იაპონელები საკვირველის მოხერხებითა და თავდაჭერით იქცევიან, თუმცა კი თამამად შეეძლოთ უფრო გაბედულად მოქცეულიყვნენ, რადგან იაპონია მშვენივრად მოემზადა საომრად, რუსეთი კი მეტად გაჭირვებულ ყოფაშია, ჯარის გადაყვანის საქმე მეტად ცუდად აქვთ მოწყობილი; ციმბირისა და მანჯურიის რკინის გზებზეც დიდი უწესოება ჰსუფევს.

„მორნინგ პოსტ“-ი არიგებს რუსებს: გირჩევნიათ შორეულ-აღმოსავლეთს სულაც თავი დაანებოთო. შორეულ-აღმოსავლეთისაკენ გერმანიამ გაგიკაფათ. უნდოდა, რომ თქვენ იქ სამუდამოდ დავიდარაბაში გაბმულიყავით, თითონ კი თავისუფლად ენავარდნა ევროპაში. რუსეთს თავის მეგობრად მიაჩნია მზაკვარი გერმანია. ჩვენ გულწრფელად ვურჩევთ რუსეთს, შორეულ-აღმოსავლეთს თავის ნებით დროზე თავი დაანებოსო.

კამათი საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

ამას წინად გერმანიის ქვეშევრდომი, ელზასელი დეპუტატი აბატი დელზორი საფრანგეთში გადმოსულიყო, ქალ. ლიუნევილში მთავრობის წინააღმდეგ გამართულ კლერიკალურ მანიფესტაციაში მონაწილეობა მიეღო და კომბის წინააღმდეგ სიტყვა წარმოეთქვა. ადგილობრივ პრეფექტს ამაზე აბატი დელზორი ლიუნევილიდან განედევნა. ამის თაობაზე გამოცემულ ბძანებაში პრეფექტს აბატი დელზორი „უცხოელად“ და „გერმანიის ქვეშევრდომად“ მოეხსენებინა. ამ სიტყვებმა მთლად გადარიეს ფრანგი ნაციონალისტები. განა ელზასის მცხოვრებელი ჩვენ უცხოელად უნდა მიგვაჩნდესო? განა ელზას-ლორენი სამუდამოთ დავუთმეთ გერმანიასაო?

იქით კვირია პარასკევს ნაციონალისტი დეპუტატები კავენიაკი და სხვები ამ საქმის თაობაზე პალატაში მთავრობას შეეკითხნენ. კომბმა მოითხოვა, ამ საქმეზე კამათი შემდეგ პარასკევამდე გადაიდოსო. მთავრობა ჯერ ამ საქმისათვის საჭირო საბუთებს ელისო.

სამინისტროს მოწინააღმდეგეებმა იმნაირად ახსნეს ეს სიტყვები, ვითომ კომბი გერმანიიდან ელის ცნობებსაო. ამაზე მარჯვენა პარტიამ და ცენტრმა საშინელი ხმაურობა ასტეხეს. ცნობილი დეპუტატი რიბო (მელინისტია) საჩქაროდ ტრიბუნაზე ადის და ლაპარაკს იწყებს: „მიკვირს, რომ პირველი მინისტრი პალატას ეხლავე არ აუხსნის ამ საქმეს (მარჯვენა პარტია და ცენტრი გაძლიერებულ ტაშს უკრავენ). ამ საქმემ მთელი საფრანგეთი აალელვა. პრეფექტმა რა საბუთის ძალით განდევნა დელზორი? უმაღლესს მთავრობის ბრძანებით მოიქცა ასე, თუ თავის ნებით განდევნა? შეატყობინა მაინც მთავრობას? ეხლა რა ცნობებს ელის მთავრობა და სადა ჰკრებს ამ ცნობებს? პრეფექტისაგან უნდა მოუვიდეს ეს ცნობები, თუ სხვა ვისმესაგან? (გაგიჟებული ტაშის ცემაა მარჯვენა პარტიისა და ცენტრის მხარეზე; საშინელი ხმაურობაა მარცხენა პარტიის მხარეს). მთავრობისა და მეტად აღელვებულ ხალხის ინტერესი მოითხოვს, რომ ამ საქმეზე დაუყოვნებლივ კამათი დაიწყოს. თუ კამათი გადაიდება, ამის პასუხის გებაც მთავრობის კისერსვე იქმნება“.

რიბოს თითონ კომბმა უპასუხა: ოპოზიცია ყოველ წამს სიტყვას აწყვეტინებდა. პირველმა მინისტრმა ბეჯითად პროტესტი გამოაცხადა რიბოს ცილისწამების თაობაზე და განაგრძო: „რიბომ გადაკვრით სთქვა, მთავრობა საზღვარ-გარეთიდან (გერმანიიდან) მოელის ცნობებსაო. ისტორიიდან ყველამ იცის, რომ ჩვენ პარტიას ზოგიერთ პარტიასავით არას დროს არ უთხოვნია უცხოელებისათვის შემწეობა (გაძლიერებული ტაშის ცემა მარცხენა მხარეს), უცხოელებს ადრე რიბოს მოკავშირე პარტიამ სთხოვა შემწეობა და არა ჩვენმა პარტიამ. ეს საქმე რეაქციონურმა პრესსამ ასტეხა. ვსთხოვ ბ-ნ რიბოს, ჯერ წაიკითხოს, რასა სწერენ დელზორზე ლიუნევილის რესპუბლიკური გაზეთები და მერე ისე ილაპარაკოს. ბოლოს კომბმა ბეჯითად მოითხოვა, პალატამ ამ საქმეზე კამათი გადასდოსო. პირველ მინისტრის შემდეგ რამდენმამე კონსერვატორმა და ნაციონალისტმა ილაპარაკა. რიბომაც ილაპარაკა ხელ-მეორედ და სთქვა: რასაკვირველია, მთავრობის უფლებაა ამ საქმეზე კამათი, როცა უნდა, მაშინ დანიშნოსო. პალატამ კომბის თხოვნა აასრულა და კამათი შემდეგ პარასკევისათვის გადასდო.

პრეფექტის მოქმედების გასამართლებლად „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დამცველ ლიგის“ კომიტეტმა ლიუნევილში გამოაცხადა, აბატი დელზორი საფრანგეთის მომხრე „უკმაყოფილო“ ელზასელთა ჯგუფს როდი ეკუთვნისო, გერმანიის რეიხსტაგში სამხედრო ბიუჯეტს დაუჭირა მხარიო. გაზ. „ეტოალ დესტ.“-იმ (ნანსიში გამოდის) დასწერა: დელზორის ჯგუფი ცდილობს, რომ ელზას-ლორენელ დეპუტატთა ჯგუფი რეიხსტაგში კათოლიკეთა პარტიას—ცენტრს შეუერთდესო.

როგორ შეჰხედეს სოციალისტებმა ჟორესის გაშავებას

ჟორესის გაშავება, რაღა თქმა უნდა, ძლიერ ეწყინა სოციალისტებსაცა და ყველა გულწრფელ რესპუბლიკელსაც. სამაგიეროდ ჟორესის დამარცხებამ მეტად გაახარა ყველა რეაქციონერი. ოპოზიციას იმედი ჰქონდა, რომ ჟორესის გაშავებით მთავრობის მომხრე უმეტესობაში განხეთქილებას ჩამოაგდებდნენ და სოციალისტებს კომბის სამინისტროს გადაჰკიდებდნენ. მაგრამ სოციალისტებმა სულ სხვა თვალით შეჰხედეს საქმეს. სოციალისტი დეპუტატი ჟერო-რიშარი სწერს „პტი რეპუბლიკ“-ში:

„მინისტრის პორტფელის მაძიებლები ძლიერა სცდებიან. რაც უნდა ძლიერ ეცადნენ, სოციალისტებს მაინც ვერ დააშორებენ სამინისტროს უმეტესობას. მინისტრის პორტფელის მძებნელებისა და მარჯვენა პარტიის გულგასასიებლად ჩვენ კომბის სამინისტროს არას დროს არ გადავუდგებით... რესპუბლიკელებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ ჩვენის დახმარების იმედი“.

კლემანსო „ორორ“-ში რესპუბლიკელთა უმეტესობას აფრთხილებს: კლერიკალები და ზომიერი რესპუბლიკელები ძლიერა ცდილო-

ხენ, რომ მთავრობის მომხრე პარტიები ერთმანეთს გადაჰკიდონ და რესპუბლიკელთა უმეტესობიდან სოციალისტები განდევნონო.

ცნობა ინგლისელ ლიბერალებისა და ლიბერალ-უნიონისტებს შეერთებაზე

წარსულ კვირას ინგლისურმა გაზ. „გლობ“-მა ცნობა დაბეჭდა, ლიბერალები მოკლე ხანში ნადიმს გაჰმართვენ და ამ ნადიმს ლორდ როზბერის გარდა, დევონშირის ჰერცოგიც დაესწრება თავის მიმდევრებითაო. გაზ. „დეილი ნიუს“ დეპეშით შეეკითხა დევონშირის ჰერცოგს, მართალია „გლობ“-ის ცნობა, თუ არაო. ჰერცოგმა გადაჭრით უარ-ჰყო ეს ცნობა. კემპბელ-ბანერმანსაც დეპეშით შეეკითხნენ; ოპოზიციის მეთაურმა შემოთვალა, მაგ ნადიმზე არაფერი არ ვიციო. როზბერის კი ჯერ პასუხი არ გამოუგზავნია.

ახალი ამბავი

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ლაპარაკი აღძრა **ტფილისის პოლიციის შტატის გადიდების** შესახებ. ჰფიქრობენ, ქალაქს მეტი ხარჯი გაადებინონ პოლიციის შესანახად, სახელდობრ, ნახევარი იმ ფულისა, რაც დასჭირდება. ამასთან აზრადა აქვთ, სავაჭრო-სამეურნეო პოლიცია და იმისი საქმე ამ პოლიციას ჩააბარონ. ახალის პროექტით, პოლიცმეისტერს, იმის ორ თანაშემწეს და კანცელარიას დასჭირდება 25,920 მანეთი, 12 ბოქაულს (დღეს 10-ია), 14 იმათ თანაშემწეს, 12 საქმის მწარმოებელს და კანცელარიებს—56,820 მ., 74 უბნის ზედამხედველს (ოკოლოდოჩნიკ), 12 უფროს პოლიციელს, 488 უმცროს პოლიციელს, 48 მოსამსახურეს და 12 ცხენოსან დარაჯს—251,616 მ. ამას გარდა დაწესდება ეგრედ წოდებული სათადარიგო პოლიცია. ამ პოლიციის უფროსს, 4 უბნის ზედამხედველს და 30 პოლიციელს დასჭირდება 11,190 მ. ამ რიგად ტფილისის პოლიციას მოუნდება წელიწადში სულ 345,547 მანეთი. აქედან ქალაქმა უნდა გაიღოს 172,273 მანეთი.

◆ გუშინ, 10 იანვარს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ხელმეორედ დეპეშით სთხოვა მიწათ-მოქმედების მინისტრს შეატყობინოს, რა მდგომარეობაშია საზოგადოების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს საზოგადოებას საზღვარ-გარეთიდან უბაჟოდ შემოიტანოს ვენახებისა და სხვა მცენარეულობის **სამკურნალო მასალები და სასოფლო-სამეურნეო იარაღები.**

◆ ამას წინად ტფილისის საბჭოს კომისიამ ტეხნიკოსების თანადასწრებით დაწვრილებით **დაათვალიერა ავჭალის ცხენის რკინის** გზა. კომისიამ მეტად არასასურველ მდგომარეობაში აღმოაჩინა ეს გზა: ცხენები გამხდრები და რიგიანის მოძრაობისათვის უვარგისნი არიან, რკინის გზა ისე დაოღროჩოღროებულია, რომ ალაგ-ალაგ ცხენი ფეხსაც მოიტეხს და სხვ. კომისიამ ყოველივე ეს ოქმში შეიტანა, წარუდგინა ქალაქის გამგეობას და სთხოვა წინადადება მისცეს ავჭალის ცხენის რკინის გზის პატრონთ ერთის თვის განმავლობაში ყოველივე ნაკლი გაასწორონ. თუ ამ ვადას გადააცილეს, ყოველ დღეს ერთი თუმანი ჯარიმა გადახდეს.

◆ დღეს, 11 იანვარისთვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია კრება კავკასიის **საარქეოლოგო საზოგადოებისა.** სხვათა შორის, ე. თაყაიშვილი წაიკითხავს მოხსენებას ახალციხეში საარქეოლოგო აზრით მოგზაურობის შესახებ. კრება დაიწყება დილის 12 საათზე.

◆ ამ ორის წლის წინად გუბერნატორს უთხოვნია ტფილისის ქალაქის გამგეობისათვის საბჭოში განსახილველად წარედგინა მისი მოწერილობა ბეითლის შეინ-ფოგელისათვის დამატებით ჯამაგირის დანიშვნის შესახებ. რადგან აქამდე გუბერნატორს ამაზე არავითარი ცნობა არ მიუღია, გუშინ განმეორებით შეეკითხა ქალაქის მოურავს, რატომ აქამდე **არ აასრულა გამგეობამ გუბერნატორის მოწერილობა.**

◆ 9 იანვარს ქუთაისიდან დაბრუნდა შინამრეწველობის კომიტეტის მდივანი ა. ფიროლოვი, რომელმაც ჩამოიტანა კოლექციები **სან-ლუის საერთაშორისო გამოფენაზე** გასაგზავნად. ბ-ნმა ფიროლოვმა ჩამოიტანა აბრეშუმეულისა, ბამბისა და სხვა ნაკეთობის საუკეთესო ნიმუშები.

◆ კავკასიის სააბრეშუმო სადგურმა გამოსაკვლევად მიიღო 40 ათასი კოლოფი **აბრეშუმის თესლი.** უმთავრესად ეს თესლი საზღვარ-გარეთიდან არის მოსული და მხოლოდ მცირე ნაწილია აქაური.

◆ გუშინ ვწერდით, რომ „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ გამოცემული **„საქართველოს კალენდარი“** 70 კაპ. ღირსო. შეცდომა შეგვეპარა. ნამდვილი ფასი ამ კალენდრისა ერთი მანეთია. ეს ფასიც იაფია ისეთ წიგნისთვის, რომელიც 800 გვერდს შეიცავს.

◆ **ავლაბრის თეატრის** მოიჯარადრემ არაქსიანმა სთხოვა ქალაქის მოურავს, შუამდგომლობა გაუწიოს საბჭოს წინაშე, რომ ქალაქმა ავლაბრის სახალხო თეატრს შემწეობა აღმოუჩინოს. ბ-ნი არაქსიანი სწერს, ხალხის განათლების საქმეს ვემსახურები და იმდენი შემოსავალი არა მაქვს, რომ ხარჯი დავფაროო. ქალაქის მოურავმა შეუძლებლად სცნო ბ-ნ არაქსიანის თხოვნის ასრულება.

◆ **ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორამ** სთხოვა ქალაქის გამგეობას, აპატიოს იმაზე დარჩენილი წასულ წლის დასაფასებელი გადასახადი. გამგეობამ არ შეიწყნარა ეს თხოვნა.

◆ ერევნის მოქალაქეს ეგიაზაროვს უთხოვნია კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსისათვის, ნება მიეცეს **ერევანში გამართოს ტელეფონი.** ეგიაზაროვი სთხოვს აგრეთვე, გაგზავნოს იმის ხარჯით ტეხნიკოსი ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენად.

◆ ამას წინად ნიჟეგოროდის პოლკის უფროსმა სთხოვა ხორცის დუქნების კომისიას, ნება მიეცეს პოლკს 15 ფუთამდე ხორცი წაიღოს ხოლმე ქალაქის მიერ დაკლულ საქონლისა პირდაპირ ქალაქის საყასბოდან. კომისიამ დაადგინა, დაავალოს კომისიის წევრს ექიმს ვაჩაძეს მოელაპარაკოს ნიჟეგოროდის პოლკის უფროსს, რა პირობით დაუთმოს პოლკს ყოველ დღე 15 ფუთი ხორცი.

◆ ანჩისხატის ეკლესიის სარდაფში საიდანღაც გამოდის წყალი და იატაკიდან თითქმის ერთს საჟენზე დგება. გუშინ ქართლ-კახეთ იმერეთის სასინოდო კანტორამ სთხოვა ქალაქის სამშენებლო განყოფილებას, გაგზავნოს ხუროთ-მოძღვარი ამ წყლის გაჩენის მიზეზის გამოსარკვევად.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაავალა თავის წევრებს თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილსა და ტ. ენფიანჯიანცს გამონახონ თავისუფალი ადგილი საყასბოს მახლობლად სათივე ეზოების გასამართავად.

◆ ტფილისის საგუბერნიო ქალაქის საქმეთა საკრებულომ სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას, შეიტანოს ხაზინაში ის 1000 მან., რომელსაც ქალაქი იხდის ყოველ წელს საკრებულოს შესანახად.

—

დღევანდელ №-თან ხელის-მომწერთ ურიგდებათ სურათებიან დამატების მე-183 №, რომელშიაც მოთავსებულია: „უპატრონო“, მოთხრობა ადამაშვილისა; სურათები: პროფ. მელიქიშვილი; „ზამთარი“, კლევერისა; „მოულოდნელი უბედურება“, ნუშერისა და ორი კარიკატურა.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ქუთაისში შესდგა საზოგადოება, რომელმაც დააარსა სამარხი კასა ნორმალური წესდებით. 3 იანვარს კასის დამაარსებელთ ჰქონდათ კრება, რომელზედაც გამგეობის წევრებად აირჩიეს ე. ნ. კოგავა, ი. ლ. ქეიშვილა და ფ. ს. ოჩიგავა. 5 იანვარს კასის მოქმედება უკვე დაიწყო.

◆ ამ წელს ქალაქის საბჭოს პირველი მორიგი კრება დანიშნულია 12 იანვრისათვის. კრებას ბევრი საყურადღებო საგანი აქვს განსახილველი. საჭიროა, ხმოსნები ბლომად დაესწრნენ.

რუსეთის ქრონიკა

◆ რიაზანის საგუბერნიო ერობამ ოთხის წლის წინად უმაღლეს მთავრობას თხოვნა გაუგზავნა, როზგით დასჯის გაუქმების ნება გვიბოძეთო, მაგრამ პასუხი დღემდინაც არ მიუღია. შარშან ამ საკითხის დაწვრილებით შესამუშავებლად საგუბერნიო საერობო კრებაზე მოხსენება უნდა წაეკითხნათ, მაგრამ კრების თავმჯდომარემ ამ საგანზე ლაპარაკის აღძვრა არ მოისურვა და უდროო დროზე კრება დახურა. წლეულს საგუბერნიო საერობო კრებაზე კრების წევრმა თავადმა ვოლკონსკიმ ისევ როზგის გაუქმების საკითხი აღძრა, მაგრამ იმავე თავმჯდომარემ პირდაპირ განაცხადა, რომ მე ამ საგანზე ლაპარაკის ნებას არ მოგცემთო. კრებამ დაადგინა, უმაღლეს მთავრობის წინაშე იშუამდგომლოს, ნება გვიბოძეთ როზგისგან პირველ-დაწყებითი სკოლებში კურს-დამთავრებულნი მაინც გავანთავისუფლოთო.

◆ ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორმა სამის თვით შეაჩერა გაზეთ „ვაზაპოსტენ“-ის გამოცემა. ამის შესახებ „ფინლიანდსკაია გაზეტა“-ში, სხვათა შორის, დაბეჭდილია: „ვაზაპოსტენ“-ის 1 №-ში საახალწლო განხილვაში ისეთი შედარებებია მოყვანილი, საიდანაც აშკარად სჩანს, რომ ამ გაზეთის რედაქცია ადგილობრივ აგიტატორთა წრეს ეკუთვნის. რედაქციამ ისარგებლა სიტყვის თავისუფლებით და რუსეთის მთავრობა ისეთ თავხედურ და ცრუ შედარებებს შეადარა, რომელსაც აშკარა წაქეზების ხასიათი აქვთ. ამ შემთხვევაში პასუხი უნდა აგოს არა მარტო ცენზორმა, არამედ თვით რედაქციამაც“.

◆ სატეხნიკო და საპროფესიონალო განათლების მოღვაწეთა კრებამ მოსწავლეთა შესახებ შემდეგი აზრი გამოსთქვა: მოსწავლეთა დასაჩუქრება, ყოველგვარ ნიშნების დასმა საჭირო არ არის. მოსწავლეთა დასჯა მხოლოდ შენიშვნებით, ან მათი საამხანაგო წრიდან გამორიცხვით შეიძლება.

ფელეტონი

პატარა ამბები

იდეალიზმი და არა ოპტიმიზმი.—ახალი წელი ზოგიერთებისთვის.—აცელების ბედი.—სვერელი კეთილშობილნი.—მეტია თვითმმართველობა!—ტიპიური სურათი.—ქართული თეატრი.

ახალი წელი!.. აგერ უკვე ათი დღეა, რაც ახალი წელიწადი დადგა. ჯერ იგი არც კი არსებობდა, რომ შორიდან ვუცინოდით და ვეალერსებოდით. ჩვენი იმედი მაზე დაგვიმყარებია, აწმყოს მოკლებულნი მომავლით ვცხოვრობთ, რამდენად უფრო გამწარებული ცხოვრება გვაქვს დღეს, იმდენად მეტს ნუგეშს, მეტს სიხარულს, მეტს ადამიანურს ყოფას ვხედავთ იქ, იქ შორს, რომელიც ყოველ დღე გვიახლოვდება და რომლის შორეული შუქი აქაც-კი გვინათებს გზას და გვითბობს გულს. რაც უნდა საშინელს სურათებს ვხედავდეთ გარშემო, რაც უნდა დახშული იყოს ჰაერი, რაც უნდა ჰყარდეს ყველაფერი, მაინც ვიტყვით შეუდრეკელად კვლავ: E, pur si muove!..

ეს ოპტიმიზმი-კი არ არის, რომელიც არა ხედავს სინამდვილეს, არა ხედავს, თუ როგორ გამოცალიერებულია მისი არსებობა, როგორ მოტყვილებულია მაშინაც-კი, როდესაც თითქოს პატივსა სცემენ და აჯილდოვებენ, რომელიც არა გრძნობს თავის დაცემულობას, რომელიც სიმდიდრეს ხედავს იქ, სადაც განუწყვეტელი შიმშილია, რომელსაც სიცილი მოესმის იქ, სადაც კვნესა და ტირილია, რომელიც თავგასულობის შეზღუდვას მოითხოვს, როდესაც ყველანი ხმა გაკმენდილნი და უძრავნი არიან, რომელსაც დღევანდელი ცხოვრება სამოთხე [illegible] ეჩვენება, რომელიც კმაყოფილია [illegible] იცინის და უკეთესი არა უნდა-რა, წინ არ მიდის, არც იმედი აქვს, არც მისწრაფება, რადგან ყველაფერი მოუპოვებია...

ეს არ არის ასეთი ოპტიმიზმი! ეს იდეალიზმია, რომელიც თვალებს არ ხუჭავს ნამდვილ ფაქტების წინაშე, კარგად ხედავს და გრძნობს, რა ბედიცა სჭირს; იგი არ არის კმაყოფილი დღევანდელის ვითარებით, რომელიც ყველაფერსართმევს და არაფერს არ აძლევს. მაგრამ მისი უკმაყოფილება არ არის პასიური, უძრავი, მონური. იგი იხედება შორს წარსულისაკენ, იხედება მომავლისაკენ და ღრმად სწამს, რომ არსებული მოისპობა და სულ სხვა ცხოვრება და ვითარება მოიპოვებს არსებობას. ამ რწმენაში არის მისი ძალა და იგი მედგრად იბრძვის და მისწრაფვის წინ!..

განახლება, აღორძინება, მკვდრეთით აღდგენა! აი რა ეხატება წინ იდეალიზმს, აი რას ეტრფიალება დღეს ყველა, რას მოელის ახალწელიწადიდან ყველა, გარდა გრინგმუტებისა, მეშჩერსკებისა, პალმებისა!

**

განახლება და აღორძინება, ვამბობთ. „განახლება“ გაისმის ხან ერთის, ხან მეორეს მხრიდან. გრინგმუტს მოსვენებას არ აძლევს ასეთი სიტყვები და ძალზე გვემუქრება. საახალწლო ნომერში გულს უმშვიდებს თავის მკითხველებს: ნუ გეშინიათ, როგორც გვიწირავს, ისე ვწიროთ მომავალშიაც და თავხედების და ბავშვების ხმას ყურადღებას ნუ მივაქცევთო. სირცხვილიც იქნება, სერიოზულად შევხედოთ მათ; ყველაფერი გამოგონილია, განზრახ შეთხზული, რასაც სწერენ და ლაპარაკობენ სხვა-და-სხვა უკმაყოფილების შესახებ; ნამდვილად სრული წესიერება და სიმშვიდე არსებობს სოფლადშიც და ქალაქშიც... ძლიერ არის [illegible] ჩვენი, რომლის მადლი არა ერთხელ მოვლენია წმინდასა მიწასა ჩვენსა! დიდება მამასა, და ძესა და წმინდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

გრინგმუტს არაფრის ეშინია და სრული იმედი აქვს რუსულის ზამთრის. მის მასწავლებელს უსაზღვრო რეაქციონერს ლეონტევს რუსეთის გონების გაყინვა უნდოდა, ამისათვის თხოულობდა, რომ უზომო ბაჟი დადებოდა ცეცხლსა და სანთელს. გასაკვირველი არ იქნება, რომ გრინგმუტმა და ლეონტიევმა ზამთრის გასაკეთებელი ქარხნების დაარსება მოითხოვონ! რაკი ბუნება არა კმარა, განსაკუთრებული, ხელოვნური საშუალება უნდა დაიხმარონ... მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს, გრინგმუტ-ლეონტიევის გეგმებსაც. მათი ოცნება შემოდგომის ბუზის უსიცოცხლო ბზუილია.

თავად მეშჩერსკის სხვანაირი დარდი აქვს. მართალია მას არც წარსული აშინებს, არც მომავალი გრინგმუტსავით, მაგრამ თუ რამ უკმაყოფილებას და უსიამოვნებას ვხედავთ აქა-იქ, ეს ყველაფერი ერთბაშად მოისპობოდა, რომ მეტი ადგილი ჰქონდეს დათმობილი „როზგს“ ჩვენს მოქალაქობრივ ცხოვრებაშიო. თვითონ მეშჩერსკის „მოქალაქის“ ცხოვრებაში „როზგს“ დიდი საპატიო ადგილი აქვს მოპოვებული. მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი გაზეთის კმაყოფილი რომ არავინ არის? რად ვერ მიანიჭა თავადმა თავის მკითხველებს კმაყოფილება?.. თავად მეშჩერსკის ალბად ჰგონია, რომ სულ სხვა ქვეყანაში და სულ სხვა დროში ვცხოვრობთ. თავადი რომ თავის გაზეთ-ჟურნალს ყოველ დღიურ გაზეთად სცემდა, გაზეთის პირველი გვერდი მეოთხე გვერდზე იყო და მეოთხე—პირველზე. უეჭველია, თავად მეშჩერსკის დროსა და წელთა აღრიცხვაც [illegible] აქვს. უკუღმართია მისი მსჯელობაც...

პალმიც თავისებურად ეგებება ახალ წელიწადს. წინდაწინვე იცის ყველამ ამ ვაჟბატონის აზრები: მისი ნატვრა მოკლე და მარტივია—ერთიან უნდა გაწყდენ კავკასიაში კავკასიელებიო. ახლად გარდაცვლებულს ველიჩკოს იმას უსაყვედურებს, ცალმხრივი იყავიო, ყველას ერთნაირად არ სდევნიდიო!..

**

საახალწლო მოლოცვაა ეს ველური ნა! ბ. პალმის მისიაა ამის ქადაგება!

ადამიანი ადამიანის მგელიაო,—ეს ყვე ზე კარგად უგრძვნიათ აცელებს (აფხაზეთ უწინ თურმე ამ სოფელს კარგა მოზრდ ადგილი ეჭირა და უხვი სახნავ-სათესი. მა შემდეგში ჩამოუცლიათ მისთვის უმეტე უკეთესი ადგილები, რომლებზედაც ის სოფლები გაუშენებიათ: ბაკლანოვკა და ტროვსკოე. ის ადგილები, რომლებიც აცის საძოვარსა და სათიბებს შეადგენდ დღეს ბაკლანოვკელთა და პეტროვსკოელები ხელშია გადასული და უკანასკნელებსა და ა ხაზებს შუა საზღვარი მთელის ათის ვერს მანძილზე სწორედ ზედ სახლის კუთხეში ჩაუდისთ აცელებს. ეს გარემოება სწორედ სულის შემხუთავია აცელებისათვის: არ შეუძლიათ საქონელი ხელიდან გაუშვან, რადგან თუ ბაკლანოვკა-პეტროვსკელების (რუსების) ადგილში გადავიდა, რა დროც უნდა იყვე —ზამთარი თუ ზაფხული—იჭერენ და პა რონს რამდენიც სურთ, იმდენს ახდევინ ბენ...

აცელებს ეს უბედურება არ აკმარა ბედმ აცში სამინისტრო სკოლა გახსნეს და მრა ვალი მოსწავლე მიაწყდა მას. გახალისებუ ლი მასწავლებელი მხნედ შეუდგა საქმ და სოფელი „ხიდრძე-სიგანე“ მისცე შენ

ქუთაისის ახალი ამბები

—

◆ 9 იანვარს, დილის 11 საათზე, როგორც დეპეშიდან უკვე უწყით, ოლქის სასამართლოს დარბაზში შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა: თავადნი მიხეილ მელიტონისძე დადიანი, ზუგდიდის მაზრის მომრიგებელი შუამავალი და ივანე მაჭუტაძე, რომელთა საქმე ირჩეოდა ამ დღეს სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებაში, წალაპარაკებულან და ჯერ სიტყვით უდიერად უხსენებიათ ერთმანეთი, შემდეგ თავ. დადიანს სილა შემოურტყამს თავ. მიჭუტაძისთვის. უკანასკნელს ამოუღია რევოლვერი და უსროლია დადიანისთვის, მაგრამ აუცდენია. დადიანსაც უძვრია რევოლვერი და ოთხჯერ უსროლია. ორი ტყვია მოხვედრია მაჭუტაძეს, ერთი პირში, მეორე შუბლში. მძიმედ დაშავებული თავ. მაჭუტაძე თოფურიას საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც დაჭრილის მორჩენა ძლიერ საეჭვოდა სცნეს. თავ. დადიანი იქვე შეიპყრეს.

შინ და გარედ

55.

სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა 1904 წლისათვის თითქმის არაფრით განირჩევა წინა წლების აღრიცხვისაგან.

რუსეთის ბიუჯეტი ორ მილიარდ მანათამდე ავიდა. ჩვეულებრივ შემოსავლის წელს ჰქონია 1.980.094.493 მანათს, არა ჩვეულებრივს—2.750.000 მან., სულ 1.982.844.493 მან., ორ მილიარდს აკლია 17 მილიონ მანათზე ცოტა მეტი.

გასავალი ამ წლისათვის ნაანგარიშევია: ჩვეულებრივი—1.966.458.251 მან., არა ჩვეულებრივი—212.178.804 მან., სულ 2.178.637.055 მანათი.

მაშასადამე დეფიციტია 195.792.562 მანათი, რომელიც დაფარული იქნება სახელმწიფო ხაზინის თავისუფალ თანხიდან.

წინა წლის ბიუჯეტთან შედარებით ჩვეულებრივი შემოსავალი მატულობს 83.061.815 მანათით; ამაზე ცოტა უფრო მეტი (86 მილ.) იმატება ჩვეულებრივი გასავალი, აქე[illegible] მარტო სამხედრო სამინისტროს ხარჯებს ემატება 30 მილ. მანათი, შინაგან საქმეთა სამინისტროსას—15 მილ., ფინანსებისას—6, საერო განათლებისას—4 მილ. და სხვა.

უფრო საგრძნობლად მომატებულია არა ჩვეულებრივი გასავალი. წინა წლებში ეს ხარჯი არ აღემატებოდა 190 მილიონს, ეხლა-კი ნაანგარიშევია 212 მილიონზე მეტი; აქედან უმეტესი ნაწილი მოხმარდება დაწყებულ რკინის გზების დამთავრებასა და ცოტაც ახალის გზების აშენებას.

ცოტათი შევჩერდეთ ბიუჯეტის უფრო საინტერესო ნაწილზე: ჩვეულებრივს გასავალზე აი ციფრები, რომელნიც გვიხასიათებენ სახელმწიფოს ხარჯებს ამ წლის განმავლობაში.

1.	სახელმწიფო ვალების გადახდა	289.299.183 მ.
2.	უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულებანი	3.529.111 „
3.	უწმ. სინოდის უწყება . .	29.331.890 „
4.	საიმპერატ. სასახ. სამინისტრო	16.127-920 „
5.	გარეშე საქმეთა „ . .	6.417.790 „
6.	სამხედრო „ . .	360.758.092 „
7.	ზღვათა „ . .	113.622.426 „
8.	ფინანსთა „ . .	372.122.649 „
9.	მიწათ მოქმედების „ . .	49.829.102 „
10.	შინაგან საქმეთა „ . .	114.727.078 „
11.	საერო განათლების „ . .	43.677.451 „
12.	გზათა „ . .	473.274.611 „
13.	სავაჭრო ნავოსნობისა და ნავთსადგურების მთავარი მმართ.	16.547.466 „
14.	იუსტიციის სამინისტრო . .	51.082.938 „
15.	სახელმწიფო კანტროლი . .	8.993.809 „
16.	ცხენების მოვლა - მოშენების მთავარი მმართველობა . .	2.116.735 „
17.	სამხედრო მასალისა და ხანოვაგის მოულოდ. გაძვირებისათვის	3.000.000 „
18.	მოულოდნელი ხარჯები . .	12.000.000 „
	სულ . . .	1.966.458.251 მ.

მაშასადამე, ჩვეულებრივს გასავალში პირველი ადგილი უჭირავს სამხედრო ხარჯებს (სამხედრო და ზღვათა სამინისტროებს და სამხედრო სურსათ-სანოვაგეს სულ უნდება 484 მილიონ მანათამდე); მე-2 ადგილი უჭირავს გზათა სამინისტროს (473 მილიონზე მეტი); მე-3 ადგილი—ფინანსთა სამინისტროს (372 მილიონზე მეტი); მე-4 ადგილი—სახელმწიფო ვალების გასტუმრების ხარჯებს (289 მილ. მან. მეტი); მე-5 ადგილი—შინაგან საქმეთა სამინისტროს (თითქმის 115 მილ. მან.); მე-6 ადგილი—იუსტიციის სამინისტროს (51 მილ. მანათზე მეტი); მე-7—მიწათ-მოქმედების სამინისტროს (თითქმის 50 მილ. მან.); მე-8 ადგილი დათმობილი აქვს საერო განათლებას (43 მილ. მანათზე მეტი), მე-9 ადგილი ეკუთვნის უწმ. სინოდს, რომელზედაც იხარჯება 29 მილ. მანათზე მეტი და სხვა...

საბიუჯეტო მოხსენებაში ფინანსთა სამინისტროს გამგე აღნიშნავს, რომ, თანახმად სასოფლო სამეურნეო საჭიროებათა კომიტეტების შენიშვნისა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცია ზოგიერთ საჭიროებათა დაკმაყოფილებასაო; მაგალითად: სახალხო კრედიტის გაძლიერებას, რისთვისაც გადადებულ იქმნაო 2 მილიონი მანათიო; გზების გაკეთება-შეკეთების საქმესაო, რაზედაც გადაიდო 12 მილიონიო და სხვა...

ახალ ბიუჯეტის ამ მოკლე განხილვიდანაც მკითხველი დარწმუნდებოდა, რომ რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეობა წელს უცვლელი რჩება. პრინციპების მხრით მაინც არავითარი განსხვავება არ არის, მხოლოდ რაოდენობითი განსხვავებაა; სახელდობრ: სამხედრო ხარჯებს ემატება 30 მილიონ მანათზე მეტი, შინაგან საქმეთა სამინისტროს 15 მილიონზე მეტი და სხვა.

გან

რუსეთის ქრონიკა

—

◆ „ფინლ. გაზეთ“-ში შემდეგია დაბეჭდილი: „1903 წელს 18 დეკემბერს ხელმწიფე-იმპერატორმა კეთილ-ინება და ბრძანა, ყველა ის ქაღალდები, რომელსაც ფინლიანდიის სენატი სხვა და სხვა დაწესებულებებს უგზავნის, რუსულს ენაზე იწერებოდეს. იმ შემთხვევაში, თუ მიწერ-მოწერა ისეთ დაწესებულებასთან ან კაცთან აქვს, რომელთაც რუსული არ იციან, სენატს შეუძლიან, რუსულს გარდა იხმაროს ადგილობრივი ენაც, მხოლოდ ორივე ერთად. ეს წესი დროებით არის შემოღებული, ხუთის წლით“.

◆ 5 იანვარს დილიდან პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორთა უმთავრეს შესავალ კარებზე გაკრულია შემდეგი დაბეჭდილი განცხადება: „პეტერბურგის გრადონაჩალნიკის მოადგილე ამით აცხადებს, რომ იმის განკარგულებით, საგუბერნიო საზოგადო დაწესებულებათა მე-321 მუხლის ძალით, ყველა, როგორც საზოგადო, ისე სექციური სხდომები სატეხნიკო და საპროფესიონალო განათლების მოღვაწეთა მესამე კრებისა 4 ამა იანვრიდან დახურულ იქმნა“. („ბირჟევ. ვედ.“).

◆ ამ ჟამად რუსეთის ყველა რკინის გზების სიგრძე, გარდა ჩინეთის აღმოსავლეთის გზისა, 57,749 ვერსს უდრის.

◆ რადგან ხშირად რკინის გზის მოიჯარადრენი მუშებს ფულს არ აძლევენ და ამის გამო მუშებს შორის უკმაყოფილება და უწესოება ხდება, გზათა სამინისტრომ დაადგინა, რომ რკინის გზის სამუშაოების გაცემის დროს დიდი ყურადღება მიექცეს მოიჯარადრეთა კეთილსინდისიერებას და რკინის გზის გამგეობამ თვალ-ყური ადევნოს, რომ მუშებმა თავიანთ სამუშაოს ფასი ყოველთვის დროზე მიიღონ.

◆ ამ ცოტა ხანებში გამოცხადდება ეხლახან შემუშავებული სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალითაც მცირე წლოვან ბავშვებს ჯამბაზობა, ცირკსა და სხვა გასართობ ადგილებში მონაწილეობის მიღება აეკრძალებათ. სცენაზე გამოსვლა და საზოგადოდ ჯამბაზობა შეუძლიანთ ქალებს 14 წლიდან, ვაჟებს 16-დან.

◆ გაზეთი „რუს“-ი სწერს: „ამ დღეებში მოსკოვის ქალაქის მოხუცთა თავშესაფარში ჰიგიენურის მიზნით 3000 მოხუც დედაკაცს თავები დაჰპარსეს“. იგივე გაზეთი პეტრე-პავლეს საავადმყოფოში არსებულ უწესოების შესახებ უფრო და უფრო საყურადღებო ცნობებს ააშკარავებს. სხვათა შორის, ამ საავადმყოფოში ერთმა ავადმყოფმა დედაკაცმა ორი წლის განმავლობაში ორი ბავშვი შობა. საზოგადოდ ამ საავადმყოფოში მრავალი მომვლელი ქალია ფეხმძიმედ. თუ როგორ უვლიან ავადმყოფთ ეს მომვლელნი, შემდეგ ფაქტიდან სჩანს: ერთმა მომაკვდავმა ავადმყოფმა მომვლელ ქალს წყალი სთხოვა. მომვლელმა ხელი ჰკრა და, მომაკვდავის კვნესა სხვა ავადმყოფთ რომ არ გაეგოთ, საბანი წაახურა“. მრავალ ამისთანა ცნობის გამოაშკარავებისთვის გაზ. „რუს“-ი ზემოხსენებულ საავადმყოფოს გამგეობამ პასუხისგებაში მისცა.

◆ ამ წლის იანვრიდან საშუალო და სამოქალაქო სასწავლებლების ყველა მასწავლებელს ჯამაგირი მოემატება. რასაც აქამდის იღებდნენ, იმის 20 პროცენტს კიდევ დაუმატებენ და წარსულ წლის სამი თვის ჯამაგირის ზემოხსენებულ ანგარიშით ზედმეტსაც მისცემენ.

◆ ერთი რუსული გაზეთი შემდეგ შემთხვევას გვიამბობს: „ჩრდილოეთ-რუსეთის გზაზე მარხილების ქარავანი მიდიოდა. შორიდან დავინახეთ, ქარავანი შედგა, რაღაც მოხდა. იქვე ხალხის ერთი ჯგუფი შეჯუჩდა. გამვლელ-გამომვლელნი თავიანთ ცხენებს და მარხილებს თავს ანებებდნენ და იმ ჯგუფს უერთდებოდნენ. აუარებელი ხალხი შეიკრიბა. შემდეგ ყველა თოვლზე წაიქცა, ყველა ყვიროდა, ხელებს იქნევდა და ოთხით და…

ვიწყებას მისცეს თავისი ბატონობა და გლეხის ყმობა. თავადი თითონვე სცდილობს გლეხს მიწა შეასყიდოს და სამუდამოდ მოსპოს მასთან ბატონ-ყმური კავშირი.

ბ-ნი ყიფიანი ამ თავადს უპირისპირებს გლეხ-კაცობას. თავადის მისწრაფებას დროებით ვალდებულიანობის მოსპობის შესახებ მხარს არ აძლევენ გლეხნი, რომელთაც ვერ გაუბედნიათ მიწის შესყიდვა და ისევ ძველს ქირს ამჯობინებენ. სიღარიბით შეწუხებულს, თითქმის ნახევარ-ადამიანებად ქცეულს გლეხებს შეუძლებელია არ ესმოდეთ, რომ მათთვის დიდად ხელსაყრელი იქმნებოდა ბატონთან ყოველივე სავალდებულო დამოკიდებულებათა მოსპობა და მიწის გამოსყიდვა, მაგრამ ამ გამოსყიდვას ფული უნდა და ეს ფული რომ ვერ იშოვნონ დროზე ჩასაბარებლად? აი ეს უიმედობა, ეს სასომიხდილება ჰხდის გლეხ-კაცს დაუჯერებელის სიმტკიცის კონსერვატორად, რომელსაც აწმყო ვითარების შეცვლა არა ჰსურს. ტანჯვა და ვაება ჩვეულებრივ უკმაყოფილებას იწვევს, ადამიანს გულში ღრმად უნერგავს სურვილს, თავ-განწირულად იბრძოლოს თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ როდესაც ეს ტანჯვა და ვაება გადამეტებულის ძლიერებისაა, მაშინ ადამიანი ტყვედ ჰხდება ამ ტანჯვისა, მაშინ იმას ესპობა ყოველივე იმედი გაუმჯობესებისა და თუ მოელის რამეს, მხოლოდ უფრო მეტს სატანჯველს, უფრო დიდს უბედურებას. აი ფსიხოლოგიური საფუძველი იმ ტყვეობისა, რომელსაც უიმედობა ჰქმნის, და ყოვლად დაბეჩავებულს, უმწეო ადამიანს სრულებით უსპობს ინიციატივას, მოქმედების ნიჭს. ქართველის გლეხის [illegible]შავმა დღემ და ათასმა, იმის თავზე დატრიალებულმა უბედურებამ შეჰქმნა ისეთი ტიპი გლეხ-კაცისა, რომელიც ჰგრძნობს თავის უბედურებას და ხელი-კი ვერ გაუნძრევია ამის თავიდან ასაცილებლად. თავადის მედგარს, მო[illegible]ისაკენ მიმართულს მისწრაფებს, გზზედ გლეხის ზნეობრივი ტყვეობა ჰხვდება ბ-ნ ყიფიანის სურათში. ეს ორი ისტორიულად ნამდვილი სულიერი განწყობილება, ერთი მეორის უარ-მყოფელი და გამანადგურებელი, აუცილებლივ სასიკვდილოდ შეებრძვიან ერთმანეთს და შეჰქმნიან ბრძოლის თავ-ზარ დამცემ სურათებს. თავადისა და გლეხების ბრძოლა განხორციელებულს საშინელებას უნდა წარმოადგენდეს იმიტომ კი არა, რომ მრისხანე თავადი დაუნდობელია და სასტიკად მოეპყრობა თავის მოპირისპირეებს, არა—საშინელება აქ თვით ბრძოლის საფუძველია, რადგანაც სიამაყით სავსე და მომავლის იმედებით აღფრთოვანებულს ძალას წინააღმდეგობას უწევს უიმედობა და უილაჯობის შეგნება სიბეჩავისაგან თითქმის გაპირუტყვებულის ადამიანისა. „ვერც მიწას შევისყიდით და ვერც გადასახადს მოვიმატებთ, შენი მეოთხედი მიი[illegible]!“ ამ სიტყვით უპასუხა ჯგუფიდან ერთმა გლეხმა, როდესაც თავადმა სასტიკად გამოაცხადა, თუ მიწას არ შეისყიდით, გადასახადს მოგიმატებთო. ბ-ნი ყიფიანი ამბობს, გლეხს ეს სიტყვები არ წარმოუთქვამს არც დაყვირებით, არც გულმოსულობით და არც ყოყოჩობით, იმან უპასუხა მხოლოდ რასაც ჰგრძნობდა და რა გადაწყვეტილებაც მიიღო. დაბეჩავებულს, იმედ-დაკარგულს, უმწეო გლეხს არც ყვირილი შეუძლიან, არც გულმოსულობა და არც ყოყოჩობა, თითქმის ყოველივე აქტიური ძალა მიხდილი აქვს, იმას მხოლოდ გრძნობა შეუძლიან და გრძნობა კი პასსივური მხარეა ადამიანის სულიერის არსებობისა. ბ-ნ ყიფიანის დასურათებული ბრძოლა საშინელი სწორედ იმისთვის არის, რომ აქ მხოლოდ ერთი აქტიური ძალაა, და მეორე კი მარტოოდენ იმით ჰმონაწილეობს, რომ პირველისთვის მრისხანების ობიექტია. რათა? რისთვის? განა გლეხი კი ადამიანი არ არის, განა იმას კი არ უნდა ჰქონდეს პიროვნება, მისწრაფება და იდეალები? კითხულობს დასასრულ ბ-ნ ყიფიანი და ამ უპასუხოდ დატოვებულ კითხვის შთაბეჭდილებით ემშვიდობება თავის სურათს.

როგორც მკითხველი ჰხედავს, სურათის საფუძველი საზოგადოებრივი, თუ გნებავთ, ისტორიული უსამართლობაა, მაგრამ ეს უსამართლობა აქ ბ-ნმა ყიფიანმა ინდივიდუალურად, პსიხიურ მომენტებად დაგვისურათა და თავის პირველს სურათში კი ობიექტიურად. ამიტომ „მშიერნი და მაძღარნი“ უშნო გამოვიდა, მოუხეშავი და მოსაწყენი „რათა? რისთვის?“ კი ძლიერი, მოხდენილი და გულის წარმტაცი. ამ პაწია სურათს ბ-ნმა ყიფიანმა იმდენი ღრმა გრძნობა ჩააქსოვა, აქ ავტორმა იმდენად საკმაო დაკვირვების ნიჭი გამოიჩინა, რომ თამამად შეგვძლიან მომავალში უფრო მეტს მოველოდეთ მისგან, უფრო მეტი მოვითხოვოთ.

„ზამთარი“ და „ტყის მუშა“ ორივე ეტიუდი გლეხის უმწეობას და ბედშავობას მოგვითხრობს. სიღარიბეს ბ-ნ ყიფიანის ოთხსავე სურათში თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი, მაგრამ ეს ორი უკანასკნელი სურათი მთლად მარტო ამ საგანს შეეხება. როგორც ზემოდ დავინახეთ, ბ-ნი ყიფიანი გლეხს სათაყვანებელ საგნად არა ჰხდის. მართალია თანაუგრძნობს იმას, სწუხს იმის სიბნელეს, მაგრამ ამასთანავე აშკარად ჰხედავს იმის გონების განუვითარებლობას. „ზამთარში“ ბ-ნი ყიფიანი თითქოს თითონვე უიმედობას შეუპყრია. აქ ავტორი აგვიწერს დაობლებულის ოჯახის მწუხარებას, რომელსაც ექვსი დღეა დიდის თოვლისა და ქარის გამო მიცვალებული სახლიდან ვერ გაუსვენებია. ერთს პატარა ცივს სახლში შეხიზნულა სამი-ოთხი ადამიანი და ელის, როდის გამოიდარებს, რომ ჩვენი მკვდარი მიწას მივაბაროთო, თითქოს დარი უმწეო გლეხისთვის სიკვდილის წესის ასასრულებლად იყოს საჭირო... ამ ეტიუდით ბ-ნ ყიფიანს თავის ნაწარმოებში ახალი ელემენტი შეაქვს, ბუნების აღწერილობა, და სცდილობს გრძნობათა განწყობილების გამოსახატად სიმბოლოდ წარმოუდგინოს ის მკითხველს. ამგვარი ცდა უფრო თვალსაჩინოა „ტყის მუშაში“. ტყეში რამდენიმე გლეხი კაცი უზარმაზარ ხეების ძირას სდგას და მხიარულად სცემს ცულს. შრომის ხალისი თვალნათლივ სჩანს მუშის ცულისაგან ატეხილს კაკუნში, რომელიც მხიარულის ზარის ხმის მგზავსად გაისმის ტყის სივრცეში და მუშას ძლიერებას აგრძნობინებს. მუშა თითქოს ბატონი იყოს და მეფე ტყისა, ისე ლაღადა ჰგრძნობს თავს; შეჰხედავს მუშა კაი სიმაღლეზე აყუდებულს ხეს, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ იმის პატარა მარჯვენით ძლეული მიწაზე წამოიქცა, და სიამაყეს იგრძნობს. ამ საერთო ბუნებისა და მუშების მხიარულებას უეცრივ ჰსპობს უბედური შემთხვევა. წაქცეულის ხის ტოტი ქვეშ მოიტანს ერთს მუშას და მოულოდნელად გამოასალმებს წუთი-სოფელს. შესწყდება მხიარული ცულის კაკუნი, გაჩუმდება ბუნება და დაღონდება მუშათა გუნდი. „ჩვენს გაჩენაში ღმერთი არ ურევია“, მწარეთ, ნაღვლიანად ამბობენ მუშები და ისევ საქმეს უბრუნდებიან, ცულს უკაკუნებენ, მაგრამ ეს კაკუნი ეხლა ნელია, ზარმაცი, უგულო და გლოვის ზარისებური.

ამგვარად ბ-ნმა ყიფიანმა თავის ოთხს სურათში დაგვანახვა ნაზი მგრძნობელობა, ღრმა დაკვირვება ცხოვრებისა და ბუნების გრძნობა. ჯერ-ჯერობით არ ვიცით, რამდენად ძლიერია ჩვენის ახალგაზრდა მწერლის ფანტაზია, მაგრამ მაინც იმისი შემატება ჩვენის მწერლობისთვის თვალ-საჩინო მოვლენად მიგვაჩნია.

ჰანგი

([illegible])

დიოდა. ახლო მივედით და აღმოჩნდა, რომ... მარხილებით არაყი მიჰქონდათ, ორი ბოჩქა გასქდა და არაყი დაიღვარა. ნახევარ საათის შემდეგ ყველა იქ მყოფი დაითრო და, რასაკვირველია, ჩხუბიც გაიმართა. მიწა გაყინული იყო და არაყს არ იშრობდა.

კავკასიის საარქეოლოგო საზოგადოების კრება

კრება მოხდა 11 იანვარს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში ბ-ნ ლოპატინსკის თავმჯდომარეობით. საზოგადოებამ მოისმინა ა. ა. არაქელიანცის მოხსენება ძველ ქალაქის ჯულფის შესახებ. ჯულფა მდ. არაქსის ნაპირზეა ღრმა ხეობაში. მეთექვსმეტე საუკუნეში ეს ქალაქი დაანგრია შაჰ-აბაზ პირველმა. ჯულფა მიუდგომელს ადგილზე ყოფილა. შესანიშნავია ძველ შენობების ნანგრევები და ალექსანდრე მაკედონელის დროის ხიდის ნანგრევი, რომელიც არაქსზე ყოფილა გაკეთებული. შესანიშნავია ყოველივე დარჩენილი მრავლად სიძველენი და წარწერები.

ჯულფა ერთი უმთავრესი სავაჭრო პუნქტი იყო მეთექვსმეტე საუკუნემდე. ამ ქალაქს სავაჭრო დამოკიდებულება ჰქონია საქართველოსა და ევროპის უმთავრეს სავაჭრო ქალაქებთან. მოხსენების დასასრულ არაქელიანცმა განაცხადა: ამ ძველ ქალაქში მრავალი საისტორიო და საარქეოლოგიო მნიშვნელობის ნივთი და ნანგრევი მოიძებნება და საჭიროა მათი დაცვა.

მცირე კამათის შემდეგ კრებამ სურვილი გამოსთქვა განაგრძოს აღნიშნულ კუთხეში საარქეოლოგიო აზრით გამოკვლევანი.

შემდეგ კრებამ მოისმინა ბ-ნ ე. თაყაიშვილის მოხსენება ზარზმის მონასტრის შესახებ. ზარზმის მონასტერი მდებარეობს აბასთუმნიდან 15 ვერსის მანძილზე, ქობლიანის ხეობაში. მონასტერი აგებულია ფერადის ქვებისაგან და შესდგება ერთის დიდის ტაძრისა, ოთხის პატარა ეკკლესიისა და სამრეკლოსაგან. პირველს ცნობებს მონასტრის შესახებ იძლევა ბატონიშვილი ვახუშტი. როგორც იგი გადმოგვცემს, როცა ზარზმის მონასტრის მახლობლად მტერი გაჩენილა, თავ. ვახტანგ გურიელს, გურიის მთავარს, გურიაში გადაუტანია ძვირფასი საეკკლესიო ნივთები და იქ 1572 წელს სოფელ შემოქმედში აუშენებია ახალი ტაძარი, შემოქმედის ზარზმად წოდებული, სადაც დაუცავს ყველა ნივთები ზარზმიდან წაღებული. ამ ეკკლესიაში გურიელს კანდელაკის თანამდებობა მიუცია გოგიტიძის გვარისათვის სამკვიდროდ. ზარზმის მონასტერს ყურადღება მიექცა 1886 წლიდან, როცა იგი დაათვალიერა გრაფინია უვაროვმა. ამ დროს ტაძარი საჯინიბოდ ყოფილა გადაქცეული. მოხსენების დასასრულ ბ-ნმა თაყაიშვილმა სთქვა, რომ ზარზმის ტაძარი და იმისი სამრეკლო აგებულია მე-10 საუკუნეში ბაგრატ მესამე და დავით კუროპალატის დროსა. მეათე საუკუნის დასასრულს ივერიის ჯარის მიერ ვარდი სკლიაროსის დამარცხების შემდეგ ამ ომში მონაწილეობის მიმღებმა იოანე ჯულას ძემ ზარზმის მონასტრის სამრეკლოს მიადგა პატარა ძეგლი. 1045 წელს ფარსმან ხურციძემ, გიორგი ჩორჩანელის ძმამ, აწყურის ეპისკოპოსის სერაპიონის დროს ზარზმის მონასტრის ქვედა ნაწილი გადააკეთა იოანე ღვთის მეტყველის სახელობის პატარა ტაძრად.

მეცამეტე საუკუნის დასასრულ ან-და მეთოთხმეტე საუკუნეში გაბრიელ ხურციძემ ზარზმის მონასტრის აღმოსავლეთით ქვითკირის შენობა გადააკეთა განსაკუთრებულ ტაძრად, რომელიც საუცხოვოდ მოხატა სურათებით. ზარზმის მესაკუთრენი ყოფილან ხურციძის გვარის წევრნი ამ გვარის ის წევრნი, რომელნიც ჰფლობდნენ ეხლანდელ სოფლის ჩორჩანის მიდამოებს და ციხეს, (ამ ციხეს ახლა ეძახიან ალტუნ კალას, ოქროს ციხეს) იწოდებოდნენ ჩორჩანელებად. ჩორდვანელებისა ანუ ჩორჩანელებისაგან წარმოსდგნენ ისინი, რომელნიც განთქმულ თორნიკედან დაწყებულნი მოღვაწეობდნენ ათონის მონასტერში. ათონის ივერიის მონასტრის მოღვაწეებმა გაამდიდრეს საქართველო საღმრთო წიგნების თარგმნით. ამათ დიდი ადგილი ეჭირათ პოლიტიკაშიაც. ათონის მონასტრის მოღვაწე მამები შუამდგომლობას სწევდნენ ბიზანტიის იმპერატორებსა და საქართველოს მეფეთა შორის ამა თუ იმ საქმეებისა გამო. ზარზმის მონასტრის წინამძღვრებიც და აწყურის ეპისკოპოსებიც ხურციძის მხრიდან ინიშნებოდნენ.

სურათები ბაგრატ მეოთხისა, გიორგი ჩორჩანელისა, სერაპიონისა და კათალიკოსის ევთიმის მამისა უნდა გადაღებული იყოს მონასტრის კედლებზე მეთერთმეტე საუკუნეში. ხოლო მთელი მხატვრობა ეკკლესიაში უნდა იყოს აღსრულებული მეთოთხმეტე საუკუნეზე არა ადრე და ეკუთვნის იმ ხანას, როცა გაძლიერდნენ ცნობილი ათაბეგნი, რომელთა წარმომადგენელნიც დახატულნი არიან მონასტრის სამხრეთ კედელზე. ზარზმის მხატვრობა შესანიშნავია.

ერთის წლის შემდეგ ზარზმის მონასტერი უკვე შეკეთებული იქმნება. მონასტრის შეკეთებას და აღდგენას ხელი შეუწყო აწ განსვენებულმა მემკვიდრე ცესარევიჩმა და დიდმა მთავარმა გიორგი ალექსანდრეს ძემ.

ბ-ნმა თაყაიშვილმა აჩვენა სურათები მონასტრისა, წარწერებისა და აგრეთვე კედლებზე დახატულ ისტორიულ პირებისა. კრებამ ბ-ნ თაყაიშვილს მადლობა გამოუცხადა შრომისა და საყურადღებო მოხსენებისათვის.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. [illegible] წარმოდგენას საზოგადოება [illegible] ნაკლებად დაესწრო და თეატრი თითქმის ცარიელი იყო, თუმცა კვირა დღე იყო და წარმოდგენაც იაფ-ფასიანი. ამისი, მიზეზი ჩემის აზრით, ის უნდა იყოს, რომ დანიშნული პიესა „დამნაშავეა?“ 3 მოქმედებიანი დრამა ფოსისა, ბევრჯელაც ყოფილა ჩვენს სცენაზედ წარმოდგენილი და არც ძალიან საინტერესოა, პირიქით, მეტად მოსაწყენია. პიესის შინაარსს შეადგენს ესრედ წოდებული სასამართლოს შეცდომის ისტორია: მსაჯულთა შეცდომის გამო კაცი ისჯება და იღუპება, მასთან ერთად იღუპება აგრეთვე მთელი იმისი ოჯახიც. უმთავრესი როლი ამ პიესაში უბრალოდ დასჯილის ტომას ლეერისა ბ-ნმა გუნიამ კარგად შეასრულა, თავით-ბოლომდე დიდის ხელოვნებითა და გრძნობით დაგვისურათა ოცის წლის განმავლობაში საპყრობილეში დაპატიმრებული, ცოლ-შვილს და ქვეყანას მოშორებული, ჯერ კიდევ, შედარებით, ახალგაზრდა, მაგრამ საპყრობილეში დაუძლურებული და დაბერებული „შეცდომის“ მსხვერპლი. კარგი იყო აგრეთვე ქ-ნი კარგარეთელი ლეერის ცოლის როლში, მხოლოდ ბოლოს-კი, იმ სცენაში, როცა იგი ქმარს იცნობს, ქ-ნი კარგარეთელი ნაკლებად მომეწონა, რადგან ტყუილად გადავიდა გადაჭარბებულს მელოდრამატიულს კილოზედ. ბ-ნი შათირიშვილი, ზურაბიშვილი და ქ-ნი დავითაშვილი გუნიასა და კარგარეთელთან ერთად ბევრს სცდილობდნენ, რომ წარმოდგენას კარგად და მწყობრად ჩაეარა, მაგრამ ვერას გახდნენ და, როგორც ზევითაცა ვსთქვით, პიესა მეტად მოსაწყენი იყო, მაყურებელს პირი დაეხა ბევრისა და უწყალო მთქნარებისაგან. მეც ძილი მომერია და ვოდევილი „პარიკმახერისას“ ვეღარა ვნახე.

—

კავკავი. 4 იანვარს კავკავის ქართულ სკოლასთან აგებულს სახალხო აუდიტორიაში ადგილობრივ სცენის-მოყვარეთ წარმოადგინეს „ბუტიაობა“ აკაკისა, „დედა და შვილი“ ილ. ჭავჭავაძისა და „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“. საზოგადოდ, „ბუტიაობა“ ძალიან სუსტობდა, ეტყობოდათ როლების უცოდინარობა. არც უშავდა რა ქ-ნ მოზდოკელს (მაიკო), კნ. ელ. ივ. ხიმშიაშვილს (ბაბალე). საზოგადოდ მკვირცხლად თამაშობს ხოლმე, მაგრამ ამ დღეს სადღაც დაჰკარგოდა ეს ბუნებრივი თვისება და ისე იქცეოდა სცენაზე, როგორც ახლად გამოსული, თითქოს ჰკრთებოდა. ვურჩევთ სცენის მოყვარეთა წრეს, ბ-ნ ვ. ზირაქიშვილს ვოდევილებში ნუ გამოიყვანენ, იმას უფრო დინჯი როლები მოუხდებოდა. უტურაშვილს სითამამე არ აკლია სცენაზე, მოჭარბებულიცა აქვს, მაგრამ შეუფერებელია ვოდევილებში. ბ-ნი პ. პოლოლიკაშვილი კომედიებში უფრო ივარგებს, ჩემის აზრით, ვიდრე დრამებში, მაგრამ როლის უცოდინარობა ხელს უშლიდა. „დედა და შვილი“ უფრო კვარიანად წარმოადგინეს. კნ. ელ. ანდრონიკაშვილი დედის როლში უფრო გრძნობით მოთამაშე გვინახავს, თუმც არც ეხლა შეასრულა ურიგოდ. ბ-ნი ნ. კურდღელაშვილი კარგი იყო შვილის როლში. კარგი იყო სცენა სატუსაღოში, აღებული ევდოშვილის პატარა პოემიდან, მაგრამ მდაბიო ხალხმა ვერ გამოარკვია დედა აზრი ამ სცენისა, თუმცა დიდი ეფექტი მოახდინა და ინტელიგენციას ძალიან მოეწონა. ტუსაღს თამაშობდა ბ-ნი ნ. კურდღელაშვილი. ვურჩევთ ბ-ნ კურდღელაშვილს, როდესაც სცენაზე, როგორც ტუსაღს, აღრჩობენ (ცოცხალი სურათი იყო), თვითონ პარტერში ნუ იხედებს ჩამომძახებებს... კარგი იყო სცენაზე პირველად გამოსული ამავე სურათში (მოძღვარი) მაქ. მარკოზიშვილი, საზოგადოებას ძლიერ მოეწონა. როგორც შევიტყეთ, 18 იანვარს აპირებენ დასდგან „გულჯავარი“ ა. ცაგარლისა და ვოდევილი „დათვი“ ჩეხოვისა. „გულჯავარის“ შემდეგ განზრახვა აქვთ დასდგან „ღალატი“ სუმბათაშვილისა.

ტეტია

—

ოდესსა. 8 იანვარს აქ, სისირიაკოვის ახალ თეატრში, მეექვსედ სდგამენ თავ. სუმბათაშვილის ახალ პიესას „ღალატს“. პირველ ხუთ წარმოდგენაზე თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო. ჩინებულადაც თამაშობენ, მხოლოდ ზეინაბის როლის ამსრულებელი ჰყავთ უშნო და ულაზათო.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 იანვარი

რომეში. აქაურმა მცხოვრებმა ქალმა ია- [illegible] მანეთი ქალთათვის ღამის სათევის გასამართავად, წითელ ჯვრის საზოგადოებას—100,000 მან. ქალთათვის თავშესაფარის გასამართავად, 10,000 მანეთი საზოგადოების ეკკლესიის გასაფართოვებლად, სამაზრო ერობას—10,000 მანეთი სკოლის დასაარსებლად უღარიბეს სოფელში და რამდენიმე ათასი მანეთი ღარიბებსა და ეკკლესიებს.

ვილნო. დვინის მაზრის მემამულემ ბარონმა კორფმა 50 დესეტინა მიწა შესწირა სახალხო სასწავლებლების გასამართავად.—დაარსდა რუსეთის საბეითალო საზოგადოების განყოფილება.

მინსკი. აქაურ მეთევზეობის საზოგადოების ინიციატივით იგზავნება ექსპედიცია ჩრდილოეთ-დასავლეთ მხრის მდინარეებისა და ტბების შესასწავლად.

ოდესსა. სტამბოლში წავიდა მაკედონიის ჟანდარმერიის უფროსის თანაშემწედ დანიშნული გენერალ-მაიორი შოსტაკი. თან რამდენიმე ოფიცერი ახლავს, რომელნიც იმასთან დარჩებიან.

კიევი. საბჭომ მიიღო პროექტი სავადმყოფოს გადასახადისა. თვითეულ მცხოვრებს წელიწადში უნდა გაეწეროს 1 მანეთი 25 კაპეიკი. თუ გადასახადი შემოიღეს, ქალაქს წელიწადში შემოუვა 300,000 მანეთი.

ორიოლი. ტრუბჩევის ერობას ნება დაერთო, მაზრაში შემოწირულება შეჰკრიბოს საერობო სახლში იმპერატორ ალექსანდრე მეორესთვის ძეგლის დასადგმელად.

სოფია. („კორესპ. ბიურო“). გაზეთების მიერ გავრცელებული ხმა კოჩანში ოსმალეთის დიდი ჯარის მოგროვების შესახებ აქ ფრიად ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს. მთავრობა იმუქრება, ამის შესაფერ ზომებს მივიღებთო.

სოფია (ოპოზიციის წრეებიდან). ბოლგარიის გაზეთები აღმაშფოთებელ ცნობებს ბეჭდავენ შესახებ ოსმალეთის დიდის მზადებისა, უფრო კი საზღვრების მახლობლად. საფიქრებელია, რომ ომი აუცილებლად მოხდება. დიპლომატიურ წრეებში შიშს გადაჭარბებულად სთვლიან. გუშინ რომ პორტამ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს განცხადება წარუდგინა, განცხადების ამ ადგილებმა, რომელიც ბოლგარიას ეხება და ამტყუნებს, აქ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. აქაური წრეები ბევრს შემთხვევას ასახელებენ, რომ ბოლგარელთა მგზავრებს ოსმალეთში ცუდად მოეპყრობიან.

ბერლინი. იმპერატორის წინადადებით ჰამბურგში შესდგა კომიტეტი, რომელმაც ალეზუნდის მცხოვრებთ დახმარება უნდა აღმოუჩინოს. ალეზუნდში ჰამბურგ-ამერიკელთა ამხანაგობის გემი „ფენიცია“ მიდის, რომელსაც საშველად სხვა-და-სხვა ნივთები მიაქვს. იმავე გემით ექიმები და იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი მიდიან.

ქრისტიანია. მთელი ნორვეგია ემზადება ალეზუნდის მცხოვრებთა გაჭირვების შესამსუბუქებლად.

სტამბოლი. ალექსანდრიაში 8 იანვარს ერთი კაცი შავის-ჭირით გახდა ავად. სასანიტარო საბჭომ დააწესა სურსათის 24 საათით ობსერვაცია.

მიუნჰენი. დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე და დიდის მთავრის მეუღლე ქსენია ალექსანდრეს ასული კანნში წავიდნენ.

პორტ-არტური. მომავლის მოლოდინში აქ თავი მოიყარეს იმ უცხოელმა კორესპონდენტებმა, რომელნიც მანჯურიაში იყვნენ. ჩინეთის ჯარისკაცთა რაზმი სძარცვავს ჩინელებსავე. რუსებს ხშირად უხდებათ [illegible] დახმარება.—გენერალი მა 20 პოლკით შანჰაიგუანში წავიდა ჯოლის პროვინციის საზღვარზე სტრატეგიო ადგილების დასაჭერად.

დესსაუ. 11 იანვარს გარდაიცვალა ჰერცოგი ფრიდრიხ-ანგალტ-დესსაუსისა.

სოფია (ოპოზიციის წრეებიდან). ყოველსავე სიმართლეს მოკლებულია ის ბრალდება, რომელიც პორტამ დასდო ბოლგარიას რუსეთისა და ავსტრ ჰუნგრეთის საელჩოებთან გაგზავნილ თავის უკანასკნელ ნოტაში. ბოლგარიას მოსაზღვრე ადგილებში გლეხობა არ შეუიარაღებია, არც სურსათს აწვდიდა, არც მუშაობა მოუხშირებია თოფხანებსა და თოფის წამლის ქარხნებში და არც შტოები შეუკეთებია, რაიც ზამთარში შეუძლებელია. მოგონილი ამბავია აგრეთვე რეკვიზიცია საქონლისა, ურმებისა და ფურგუნებისა არტილერიისათვის. ტყუილია ისიც, ვითომ კარგად მოწყობილ ჯარში შესდგა განსაკუთრებული პოლკი რეკვიზიციის მოსახდენად და იმის გამოსაკვლევად, თუ რა ნაყოფი მოაქვთ წისქვილებსა და [illegible] ხა არ გადადებულა, არსად არ გამართულა და არ შეკეთებულა სიმაგრეები და არც დინამიტი უყიდნიათ, აგრეთვე არც სხვა შემოწირულება შეკრებილა იმის გარდა, რაც გადმოხვეწილთათვის მოგროვდა. არც ერთს ოფიცერს ნება არ მიეცა, შეამბოხეთა რაზმში შესულიყო. ეს ბრალდებანი პორტამ უთუოდ იმიტომ მოიგონა, რო საბაბი იქონიოს და რეფორმები არ განახორციე ლოს, ამასთან დაფაროს თავისი საკუთარი შეი რადება და ბოლგარიაზე თავ-დასხმის განზრახვ

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 9 იანვარი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,00
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,85
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,72½
ბირჟის დისკონტი	5-6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	95⅜
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	421¾ „
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	334 „
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	280 „
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	90¾ „
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	90¾
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	233 „

განცხადებანი

დ-რის შინდლერ-ბარნაის
„მარიენბადის რედუქციური აბები“
წინააღმდეგ
სიმსუქნისა
[illegible]
ნამდვილი აბები იყიდება მხოლოდ
წითელ კოლოფებში,
რომელშიაც აწყვია დარიგება, თუ როგორ იხმარება ეს წამალი, დაწერილი რუსულად, ფრანგულად და გერმანულად.
იყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიებში. (ნ. 26—11)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

განცხადება
ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის **მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭო** ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1904 წლის 20 იანვარს, შუადღის 12 საათზე, **ქუთაისში**, საბჭოს სადგომში, მოხდება **საჯარო ვაჭრობა**, რომლით გაიცემა იჯარით ჭიქოურა-შუქრუთ-ჰალების გზის გადაკეთების საქმე. ამასთან უნდა გაკეთდეს: ხიდი, შუქრუთ-ჰალების და ითხვისის გზებზე ასასვლელად და რკინის გზის ხიდ-ქვეშ კედლის გაკეთება ითხვისის მდინარის წესიერ მიმდინარეობისათვის ხელის შესაწყობად; სამუშაო ნაანგარიშევია 16.018 მანეთისა დ 51 კაპეიკისა.
ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრ ბაში, საბჭოს კასსაში უნდა შეიტანოს, ვა ჭრობის დაწყებამდე, 800 მან. ნაღდი ა მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილი სარ გებლიანი ქაღალდები.
ვაჭრობის შედეგი საბჭომ უნდა დაამტკ ცოს. (ნ. 9—1)